ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1606965

ნომერი: AR1262668

თარიღი : 03.11.2014

გაცემის თარიღი : 21.11.2014

გაცნობის თარიღი : 21.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ვაგზალი , მეტროპოლიტენის სამმართველოს მიმდებარედ (ნაკვეთი 05/070);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ –ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს AR1262668 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.16.01.005.070) ავტოსადგომის, სავაჭრო და საოფისე დანიშნულების ფუნქციის მქონე შენობა–ნაგებობის განთავსების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 2 (ტრ-2) „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად სატრანსპორტო ზონა 2 (ტრ-2) წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს, სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საზღვაო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები) და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფ სხვა საზოგადოებრივ სამყოფებს/სათავსებს კანონმდებლობის შესაბამისად.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ, მოცემული ტერიტორია გასხვისებული იქნა, მხოლოდ ავტოსადგომის განსათავსებლად, რაც დაფიქსირებულია საჯარო რეესტრის ამონაწერში ვალდებულების სახით.

ასევე მოგახსენებთ, რომ 27.10.2014 წ. #07/9978-13 განცხადების პასუხად, არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია ქალაქგეგმარებითი დასკვნა, რომლის მიხედვითაც სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია არსებული ავტოსადგომის სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად განთავსდეს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი (კომერციული, საოფისე) კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს ავტოსადგომის ფუნქციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისი ესკიზის შესათანხმებლად, საჭიროა მიმართოთ სანებართვო განყოფილებას. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, განაცხადი უნდა ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებ.გვერდზე, კერძოდ: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge